საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01–11/10

ქ. ბათუმი 05 თებერვალი 2014 წ.

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის
„სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“
2013-2014 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში
განხორციელების მიზნით საკონკურსო
კომისიის შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24–ე მუხლის, სსიპ – ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წარდგინების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 31 იანვრის №3 გადაწყვეტილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2013-2014 სასწავლო წლის მე–2 სემესტრში განხორციელების მიზნით შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) რევაზ ოკუჯავა – სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახურის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
ბ) თეონა აბულაძე – სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი (კომისიის მდივანი);
გ) ბოჩია ზარანდია – სტუდენტი, წარმომადგენლობითი საჭოს წევრი – კომისიის წევრი;
დ) გიორგი დიასამიძე– იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი – კომისიის წევრი;
ე) ირმა დიასამიძე – საფინანსო–ეკონომიური დეპარტამენტის სპეციალისტი – კომისიის წევრი;

2. კომისიამ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად უზრუნველყოს სტუდენტთა განცხადებებისა და თანდართული მასალების შესწავლა და სწავლის საფასურში შეღავათით სარგებლობის უფლების მქონე სტუდენტთა გამოვლენა.

3. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას და გადაეცეს გასაცნობად შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ე. ჩავლეიშვილი